თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს

ალექსანდრე ელისაშვილის ანგარიში მოსახლეობას

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცენტრალური საბურთალოს მაჟორიტარმა დეპუტატმა მის სამაჟორიტაროში მცხოვრებ მოსახლეობას 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიში წარუდგინა. ელისაშვილის განცხადებით, დეპუტატის ბიურომ ფუნქციონირება 2014 წლის აგვისტოდან დაიწყო და ამ ხნის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა საბურთალოს რაიონის მოსახლეობის უშუალო მიღება, ადგილზე შეხვედრები და წერილებზე რეაგირება. 2015 წლის 1 იანვრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით სამაჟორიტარო ბიუროში შეხვედრა გაიმართა დაახლოებით 1800 მოქალაქესთან, საკრებულოში 372 მოქალაქესთან, შემოვიდა 328 წერილი, რეაგირება მოხდა 204 წერილზე (დანარჩენი წერილების უმეტესობა სცილდებოდა საკრებულოს წევრის კომპეტენციას, მათზე რეაგირების არ არსებობაც სწორედ ამით იყო განპირობებული).

მოსახლეობის ძირითადი თხოვნები და მოთხოვნები ქაოტურ მშენებლობებს, მწვანე სივცეების განადგურების საფრთხეებს, ავარიული შენობების გამაგრებას, გზის საფარის მოწესრიგებას, სპორტული მოედნების კეთილმოწყობას, სოციალურ პრობლემებს, მედიკამენტებით დახმარებას, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას და სხვადასხვა პრობლემას შეეხებოდა.

ბიუროს შუამდგომლობით და მერიის საქალაქო სამსახურებისა და საბურთალოს გამგეობის ძალისხმევით მოგვარდა მნიშვნელოვანი

4

№ 10/18524 06.11.15

ნაწილი ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების. მაგალითად ვაჟა ფშაველას 42 ნომერში და გაზაფხულის ქუჩაზე კომპაქტურად ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილ 200-მდე ოჯახს კომპანია „ყაზტრანსგაზმა" და დევნილთა სამინისტრომ გაუყვანეს გაზის მილები და დაუმონტაჟდათ ინდივიდუალური მრიცხველები. ბურძგლას, ზაქარიაძის, ჰეიდარ აბაშიძის დაზიანებულ ქუჩებზე დაიგო ასფალტი. მოწესრიგდა რამდენიმე სკვერი და სპორტული მოედანი. კაპიტალურად გამაგრდა: ყაზბეგის 1 და მიცკევიჩის 1 კორპუსები.

სამწუხაროდ პრობლემათა ნაწილის მოსაგვარებლად გაიმართა არაერთი საპროტესტო აქცია რომელთაგან რამდენიმე მათგანი მოსახლეობის ინტერესებით გათვალისწინებით დასრულდა. მაგალითად ყაზბეგის გამზირის 25-სა და 27-ს შორის მდებარე სკვერში გაუქმდა კორპუსის მშენებლობის ნებართვა და სკვერს დაუბრუნდა რეკრეაციული ზონის სტატუსი. მოსახლეობის აქტიური და ენერგიული ქმედებების შედეგად თამარაშვილის 13 ნომერში მოხერხდა იმ 18 მრავალწლოვანი ხის გადარჩენა რომლებზეც ქალაქის გამწვანების სამსახურის მიერ მოჭრის სებართვა იყო გაცემული. მოსახლეობა დღემდე აპროტესტებს ასათიანის ქუჩის, თამარაშვილისა და დელისის მესამე შესახვევში დაგეგმილ და მიმდინარე მშენებლობებს.

სამაჟორიტარო საქმიანობის გარდა ალექსანდრე ელისაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს საქმიანობაში. იგი ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის და გარემოს დაცვის კომისიის სხდომებს. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საკითხის განხილვაში. იყო არაერთი საკითხის ინიციატორი.

მათ ‹ორის:

- ურბანულ სივრცეებში ხმაურის რეგულირების წესის შესახებ

- საკრებულოს პერსონალური ავტოპარკის ნაცვლად საერთო სარგებლობის ვტოპარკის ორგანიზებისა და მისი კონტროლის მოწესრიგების შესახებ
- სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ
-
- ისტორიული თბილისის პრობლემათა მოგვარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ
- სამსახურეობრივი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ აუცილებელი საჯარო ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ
- ინიციატივა საკრებულოს მუშაობის რეგლამენტის გამართვისა და უკეთ ორგანიზების შესახებ
- თბილისის გარშემო გამხმარი ტყეების გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შესახებ

2015 წლის 1 იანვრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით ალექსანდრე ელისაშვილი მონაწილეობდა თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 27 სხდომიდან 23-ში.

ხოლო ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 34 სხდომიდან 28-ში.

დეპუტატმა მოსახლეობას მოუთხრო აშშ-ში სტუმრობის შესახებ. უფრო კონკრეტულად კი 6-დან 27 ივნისის ჩათვლით ალექსანდრე ელისაშვილი იმყოფებოდა აშშ-ში სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო პროგრამის - „International visitor leadership program" – ის ფარგლებში. პროექტის კონკრეტული სახელწოდება გახლდათ - „Urban Sustainability and Envaironmental Advocacy in the U.S." – ანუ ურბანული მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვითი საკითხები აშშ-ში". ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ ელისაშვილმა დეტალური ანგარიში წარუდგინა

საკრებულოს. ანგარიშში აღწერილი იყო 5 შტატსა და ქალაქში მიღებული გამოცდილება და თბილისში ამ გამოცდილების შესაძლო გამოყენების დეტალები.

ალექსანდრე ელისაშვილი საბურთალოს სხვა მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საბურთალოს გამგეობის ინიციატივით შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს დაკომპლექტებასასა და მუშაობაში. ეს საბჭო წარმოადგენს დეპუტატებს, გამგეობის მოხელეებსა და რაიონის მოსახლეობას შორის საჭირბოროტო საკითხების გაცვლის და დაუყოვნებლივი მოგვარების ეფექტურ მექანიზმს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც. განსაკუთრებით აღინიშნა რომ აუცილებელია რაიონის პრობლემების და მათი მოგვარების ადეკვატურად ასახვა 2016 წლის თბილისის ბიუჯეტში. ამ მიზნის კი საჭიროა მოსახლეობისთვის ბიუჯეტის გაცნობა და მათი შენიშვნების გათვალისწინება, ხოლო შემდეგ წლის მანძილზე შესრულების მაქსიმალური კონტროლი და ზედამხედველობა.

ა. ელისაშვილი